მაყაშვილის II ჩიხი №2, მაყაშვილის I ჩიხი №4

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიულ უნაბში - ძველი ვერეს ტერიტორიაზე. ადგილმა ეს სახელწოდება მიიღო მდინერე ვერესთან სიახლოვის გამო. XIX საუკუნეში მდ. ვერეს გარშემო რამდენიმე სოფლური დასახლება იყო – ვარდისუბანი, ვაკე და საბურთალო. ვარდისუბანს ეკავა ვარაზისხევის მარჯვენა მხარე, მოიცავდა დღევანდელი მელიქიშვილის მიმდებარე ტერიტორიებს და ვარდიგორამდე (გვიანდელი სიმიონოვკი დასახლება) აღწევდა.



1910-იანი წლების დასაწყისი – ვერის პანორამის ფრაგმენტი

1860-იანი წლებისთვის ქალაქის ისტორიული გარეთუბნის მეჩხერად განაშენებული ტერიტორიები ახალი შენობებით ივსება. 1880-იანი წლების დასაწყისში ქალაქის განვითარებამ "მოსკოვის ზასტავას" – შემდგომში მოსკოვის ქუჩას (დღევანდელი რუსთაველის მოედანი და ძმები კაკაბაძეების

ქუჩის მიდამოები) მიაღწია. ამ პერიოდიდან ქალაქი თანდათან იერთებს სოფლებს ვარდისუბანსა და ვერეს. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ტერიტორია მოსკოვის ქუჩასა და ვარაზის ხევს შორის, საბინაო მშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არეალი ხდება. 1880-1900-იან წლებში აქ აქტიური მშენებლობა მიმდინარეობს. ღარიბი ფენების საცხოვრებელ სახლებს თანდათან ენაცვლება ორ და სამსართულიანი შემოსავლიანი სახლები.

ამ დროიდან ეყრება საფუძველი ახალი ქუჩების ქსელს სოფელ ვარდისუბნსა და მის მიდამოებში – ვარდისუბნის (ახლანდელი ჯანაშიას), მლეთის (ახლანდელი ხორავას), კობის (ახლანდელი თარხნიშვილის), იზმაილოვის (გვიანდელი ჯავახიშვილის, ახლანდელი ზანდუკელის), გუბინის (ახლანდელი ბარნოვის), ტერ გუკასოვის (გვიანდელი გურამიშილის, ამჟამინდელი მაყაშვილის) და სხვა ქუჩებს.



1867 წლის თბილისის რუკა



1902 წლის თბილისის რუკა

1867 წლის თბილისის რუკაზე ჩანს, რომ ამ პერიოდში ვარდისუბანი სოფლური ტიპის დასახლებაა, ქაოტურად მიმოფანტული განაშენიანებით. ქუჩათა ქსელი რუკაზე მხოლოდ პირობითადაა აღნიშნული. 1902 წლის რუკაზე ქუჩების უმეტესობა უკვე ჩამოყალიბებულია. გაკვალულია

მაყაშვილის ქუჩის წინამორბედი ტერ გუკასოვის ქუჩა, რომელიც იზმაილოვის (ამჟამინდელი ზანდუკელის) ქუჩასთან იღებს სათავეს, ჰკვეთს გუბინის (დღევანდელი ბარნოვის) ქუჩას, ფერდს აუყვება და ამჟამინდელი გოგებაშვილის ქუჩასთან წყდება. მომდევნო წლების რუკების მიხედვით (1913 და სხვა) ვერისუბნის ქუჩების ქსელი დღევანდელს თითქმის უცვლელად შეესაბამება. XX საუკუნის 20-იანი წლებისთვის ვერეცა და ვარდისუბანიც ურბანულად უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც სივრცით-არქიტექტურული, ისე განაშენიანების თვალსაზრისით. ამ პერიოდისაა შენობების დიდი ნაწილი მაყაშვილის, ბარნოვის, ზანდუკელისა და მათ მიმდებარე ქუჩებზე – ბევრი მათგანი დღესაც გამოირჩევა მაღალი მხატვრული ღირებულებით და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქუჩების არქიტექტურულ სტრუქტურაში.



მაყაშვილის ქუჩა №№14, 16, 18 სახლები.

უბნის საერთო არქიტექტურულ მასშტაბს ძირითადად ორ-სამ და ოთხსართულიანი შენობები განსაზღვრავდა. ჩვენთვის საინტერესო მიკრო-უბნის განაშენიანების თავისებურებაზე გავლენას ახდენს ვარდიგორისა და ფერხულის მთის ფერდების უსწორმასწორო რელიეფიც - კვარტლების მეტ-

ნაკლებად რეგულარულად დაგეგმარების მიუხედავად ბუნებრივი ლანდშაფტი აქტიურად მონაწილეობს ურბანული გარემოს ფორმირებაში.



მაყაშვილის ჩიხი.

მაყაშვილის ჩიხის განაშენიანება არ განსხვავდება მიმდებარე განაშენიანების საერთო ხასიათისგან, თუმცა ერთ რიგში ჩამწკრივებული ორსართულიანი სახლების ფასადების აღნაგობა მარალმხატვრულობით არ გამოირჩევა – თითქმის ერთგვაროვანი ფასადები სადად არის გაფორმებული. სართულშუა გადახურვების დონეზე მათ ჰორიზონტალური ზოლი ანაწევრებს. შენობებს საერთო სიმაღლეზე გასდევს მაღალი პარაპეტები.

ჩიხის ბოლოს ერთსართულიანი ბარაკული და ბოლო წლებში განახლებული სახლები დგას. ჩიხის მეორე მხარე მთლიანად უჭირავს მაყაშვილის ქ. №10 სახლის ეზოს – სახლი განაშენიანების სიღრმეში დგას. ეზო ქუჩიდან აგურის კედლით არის გამოყოფილი. ორსართულიანი აგურის შენობა

ტორსოსა და ზურგის ფასადებით გამოდის მაყაშვილის ჩიხისკენ - ყურადღებას იქცევს ხის მუშარაბებიანი შუშაბანდი.



მაყაშვილის ქ. №10.



მაყაშვილის ქ. №10 – ზურგის ფასადი მაყაშვილის ჩიხში.

საპროექტო ტერიტორია

საკვლევი შენობები მდებარეობს მაყაშვილის პირველ და მეორე ჩიხს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები მთავარი ფასადებით ჩართულია მაყაშვილის მეორე ჩიხის კამერულ განაშენიანებაში. შენობები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. ერთი-მეორის მიჯრით განლაგებული მოცულობები თანაბარი სიმაღლისაა და დასრულებულია მაღალი პარაპეტითა და პროფილირებული კარნიზებით.



მაყაშვილის II ჩიხი №2, მაყაშვილის I ჩიხი №4

ერთი მათგანი შელესილია და არქიტექტურული პროფილებით არის გაფორმებული, მეორე კი შეულესავია და ე.წ. ქართული აგურის კარგი წყობით იქცევს ყურადღებას. პირველი სართულები ნაწილობრივ მიწაშია მოქცეული.

სწორკუთხა შიდა ეზოს პერიმეტრზე ვითარდება ხის შუშაბანდებიანი ფასადი. ეზო მოფარგლულია ახალი აგურით ნაგები კედლით, რომელშიც ლითონის ჭიშკარი და დეკორატიული ცხაურია ჩართული. ეზოში დგას ერთსართულიანი, ნახევრად დანგრეული შენობა. შენობებს უკანა მხრიდანაც აქვს მომცრო შიდა ეზოს.



საპროექტო ტერიტორიის ეზოს ჭიშკარი.

ერთიანობაში ეს არის ჩიხის ცალ მხარეს ჩამწკრივებული ორსართულიანი შენობები, სადაც განაშენიანების სივრცით სტრუქტურაში შემოჭრილი შიდა ეზო ერთგვარ სივრცით „პაუზას“ ქმნის.

ამ ტიპის საცხოვრებელ სახლებს თბილისის ისტორიული გარეთუბნის ყველა უბანში ვხვდებით. მათ ფასადებში გვიანი ფსევდოკლასიციზმის ერთგვარი გამოძახილი იგრძნობა - პილასტრისებრი ვერტიკალური

შვერილები, მოდულიონებით გაფორმებული პროფილირებულ საპირეებიანი ღიობები და სხვა.

საცხოვრებელი სახლები ამჟამად ცარიელია და მათი ფიზიკური მდგომარეობა ძალიან ცუდია. განსაკუთრებით შელახულია ეზოს ფასადი. ეზოს სივრცეს დაკარგული აქვს პირვანდელი სახე გვიანდელ მიშენება-გადაკეთებათა შედეგად. ამასთან, მთავარი ფასადები მეორე სართულების დონეზე თავდაპირველი სახით არის შემონახული, პირველი სართულები მთლიანად შეცვლილია – გაჭრილია გარეშე შესასვლელი კარი და სხვა. შენობების კედლები დაზიანებულია, რის გამოც კედლის წყობა "დაძრულია" და გაჩენილია ბზარები.




საპროექტო ტერიტორიის ეზო.

მაყაშვილის ქუჩაზე შენობების უმეტესობა დღესაც გამოირჩევა კარგი მასშტაბითა და გამართული არქიტექტურული ფორმებით:

საპროექტო შენობის მიმდებარედ, კარგი პროპორციით, ფასადებზე ღიობთა და არქიტექტურული პროფილების განაწილების მშვიდი რიტმით, იქცევს ყურადღებას მაყაშვილის ქ. №14, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მაყაშვილის ქუჩისა და მაყაშვილის ჩიხის კუთხეს ქმნის - აგურით ნაგები შენობა შელესილია (ძველი აგურის წყობა კარგად ჩანს ჩამოცვენილი ნალესობის ქვეშ). პირველი სართული ტლანქი ნალესობით არის დაფარული.



მაყაშვილის ქ. №14.



მაყაშვილის ქ. №10.

მაყაშვილის ქ. №18 საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ყველაზე მაღალი შენობაა - სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული გადაწყვეტა XX საუკუნის დასაწყისში გავრცელებული მოდერნის სტილის გავლენის შედეგია.

შენობა ღირებულია, როგორც ურბენული ერთეული. ის მაყაშვილის ქუჩისა და მაყაშვილის პირველი ჩიხის შესაყართან დგას და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიკრო-უბნის არქიტექტურულ მასშტაბს.

მაყაშვილის ქუჩაზე არაერთი ღირებული და ანგარიშგასაწევი შენობაა (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები – მაყაშვილის ქ. №10 (უშუალოდ ესაზღვრება მაყაშვილის ჩიხს), №16, №18 და სხვა სახლები.

დასკვნა და რეკომენდაციები

საპროექტო ტერიტორა მდებარეობს მომცრო ჩიხში, რომლის ცალ მხრივად მოშენებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები ქმნის განაშენიანების ერთიან რიგს. ამ რიგშია ჩართული საპროექტო ტერიტორია – აქ არსებული შენობები მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით არაღირებული ნაგებობებია, თუმცა მათ გააჩნიათ XX საუკუნის დასაწყისისთვის დამახასიათებელი გეგმარებითი და საფასადო სახე. ეზოებში დაბალი არქიტექტურული ღირებულების მქონე მოცულობებია თავმოყრილი, რაც საერთოდ ახასიათებს ამ უბნის შიდა კვარტალურ განაშენიანებას.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია, მაყაშვილის II ჩიხი №2, მაყაშვილის I ჩიხი №4 ტერიტორიაზე მდებარე შენობების დემონტაჟი (რომელიც საცხოვრებელ სახლებს წარმოადგენდა, ამჟამად შენობები ცარიელია) და აქ ახალი შენობის აგება. საპროექტო წინადადების განხორციელება დასაშვებია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- მაყაშვილის ჩიხის განაშენიანების არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მომავალში ქუჩის არქიტექტურული სახეცვლა გარდაუვალია, მაგრამ ცვლილებების პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად კორექტული, პირველ რიგში, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ანგარიშგამწევი.

- ამგვარი ჩარევისას გასათვალისწინებელია, როგორც საპროექტო გარემოს ურბანული ღირებულება, ისე მიმდებარე განაშენიანების თავისებურებები.

- ახალი მშენებლობისას გასათვალისწინებელია ტერიტორიის სივრცითი კონტექსტი. მხედველობაშია მისაღები აღქმის სხვადასხვა ასპექტები – რელიეფის თავისებურების გამო საპროექტო ტერიტორია ჩანს ქალაქის დაშორებული წერტილებიდან.

- ახალი შენობა კომპოზიციურად უნდა ჩაეწეროს მიმდებარე გარემოში. ანგარიში უნდა გაეწიოს არსებული განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურულ მახასიათებლებს.

- სასურველია არ მოხდეს ტერიტორიის სრულად ათვისება და შენარჩუნდეს შიდა ეზოს სისტემა, რაც უბნის განაშენიანების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია.

- ახალი მოცულობის მხატვრული სახე, რიტმი და ფერი არ უნდა არღვევდეს განაშენიანების ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას. სასურველია ნაკლებ აქტიური, მინიმალისტური არქიტექტურული ფორმების გამოყენება, რომელიც ჩაეწერება ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ კონტექსტში.
- განსასაზღვრია მიმართებები ურბანული სტრუქტურის შემადგენელ ელემენტებს შორის - ამ ელემენტების მიმართება არქიტექტურულ "მასებთან" და ბუნებრივ გარემოსთან. ანგარიშგასაწევია ურბანული ქსოვილი, რომლემაც თითქმის უცვლელად შენინარჩუნა თავდაპირველი მახასიათებლები.

ხელოვნებათმცოდნე

მარინა ხატიაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძრვრება, 1801 – 1817 წწ. ტ. I, თბ., 1960, ტ. II, თბ., 1963.
2. თ. ბერიძე, თბილისის გარეუბნები, თბ., 1977;
3. Т. Квирквелия, Архитектура Тбилиси, Тб., 1982.